

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის  
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (2021-2022)

2021 წლის 03 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის  
საკრებულოს წევრი.

აღნიშნული პერიოდიდან დღემდე დასწრებული ვარ საკრებულოს 13 ჩატარებული  
სხდომიდან ყველას. ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ვესწრები  
კომისიის სხდომებს.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან,  
აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების  
განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით  
მომარაგების საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მწვავედება ზაფხულის თვეებში. თითქმის  
სრულდება 2020 წელს დაწყებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლის  
ცენტრალიზებულად მიწოდებას. დამონტაჟდა მრიცხველები, მოეწყო ორი ჭაბურღილი,  
აშენდა ერთი 500 ტონიანი და გარემონტდა მეორე, 1000 ტონიანი რეზერვუარი. აღნიშნული  
პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა მიიღებს ხარისხიან და 24 სთ-იან სასმელ წყალს.

ასევე თითქმის დამთავრებულია „ბაიდარაანის“ სასაფლაოს გზაზე ბეტონის საფარის  
დაგება და მალე დამთავრდება ანალოგიურად „ღვთისმშობლის ეკლესიის“ გზის  
მოწესრიგების სამუშაოები, თუმცა ამ მხრივ სამწუხაროდ ძალიან ჩამოვრჩებით  
მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს.

სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლეობის მოთხოვნით, 4 უბანში მოეწყო გარე  
განათება, რაზეც დაიხარჯება 20000 ლარი.

სოფელ ანაგისთვის მნიშვნელოვანია ბაკურციხე-წნორის გზის მშენებლობის დაწყება,  
რომლის დამთავრების მერე სოფელი განიტვირთება დიდი ტევადობის სატვირთო  
ავტომანქანების მოძრაობისაგან, რაც ვიწრო ცენტრალური გზისა და რთული რელიეფური  
მდგომარეობის გამო ბევრ პრობლემას ქმნის.

აქტიურად ვიმუშავეთ დამისამართებული ქუჩების სახელდებისათვის, შესაბამისად  
ანაგაში არსებულ 36-ვე ქუჩას ექნება თავისი დასახელება.

ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. მოსახლეობას  
შემლებისდაგვარად ვუხმარები მათი საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი:



/ვ.სიმონიშვილი/

20.10.2022 წელი.